სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

46885829895823

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე ინდივიდუალური მეწარმის) მონაწილეობით პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230698892

რეგისტრაციის თარიღი

30.05.2023 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდიღავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაათ მაისს მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.14 ა-ში პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **შპს ემ ემ ეს (ს/ნ 412715067) დირექტორი გურამი გოგლიჩიძე** .მან განაცხადა რომ ამჟამად იმყოფება **იტალიაში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს მინდობილობა და დაადასტუროს სანოტარო წესით **(სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის - მუხლი 52. პუნქტი 3. პუნქტი 4).**

მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელეტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **გურამი გოგლიჩიძე (დაბ.02.08.1995წ პასპორტი 12AA53197 პ/ნ 60001140604)** დამიკავშირდა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას **შპს ემ ემ ეს (ს/ნ 412715067) დირექტორის გურამი გოგლიჩიძის** ნების შესაბამისად ესწრებოდნენ მის მიერ შემოთავაზებული პირები: დავითი გურგენიძე (დაბ.11.12.2001 პ/ნ 01017056313) როგორც "მინდობილობის გამცემის" ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და დავით ჩიტაძე (დაბ.03.03.2001წ პ/ნ 01005032087) **როგორც მოწმე**

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე. ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც **შპს ემ ემ ეს (ს/ნ 412715067) დირექტორის გურამი გოგლიჩიძის** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით წვუკითხე შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მინდობილობა

მე, **შპს ემ ემ ეს (ს/ნ 412715067) დირექტორი გურამი გოგლიჩიძე (დაბ.02.08.1995წ პასპორტი 12AA53197 პ/ნ 60001140604)** „შემდგომში-მარწმუნებელი" **მარინე კავთელიშვილს (დაბ.24.10.1984წ პ/ნ01014003472)** შემდგომში-რწმუნებული" მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება: რწმუნებული უფლებამოსილება რომ **შპს ემ ემ ეს-ის (ს/ნ 412715067)** სახელზე არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების, კომპანიის როგორც მესაკუთრის ინტერესები დაიცვას და აწარმოოს ნებისმიერი ნებართვის მოთხოვნა/მიღება/ პროექტირება/ მშენებლობა/ექსპლოატაციაში მიღება/გრგ შეთანხმება/ცვლილებების შეტანა/ დაკანონებასთან დაკავშირებული საქმეები. აღნიშნულთან დაკავშირებით იგი უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მერიაში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტში, მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ზედამხედველობის სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოებში, საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ არქივში, ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, კერძო ექსპერტთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, თავისი შეხედულებისამებრ შეათანხმოს მშენებლობის და სხვა ნებისმიერი პროექტი; აწარმოოს მშენებლობის ნებართვის აღებასთან/კორექტირებასთან/ვადის გაგრძელებასთან (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, დაშენება, გადახურვა, დემონტაჟი, ღიობების ამოჭრა, ღობის შეცვლა და სხვა) შემდგომში მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები, ჩაატაროს ექსპერტიზა, მიიღოს დასკვნები, დააბუთოს ფართები, აწარმოოს ნებისმიერი ცვლილებების/კორექტირების რეგისტრაცია, აწარმოოს გამიჯვნა/დაყოფა/გაერთიანება, სერვიტუტით დატვირთვა, გასცეს/მიიღოს ნებისმიერი თანხმობები, მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერები, ინფორმაციები, წარადგინოს დოკუმენტები, ელექტრონულად, წარადგინოს ნებისმიერი სახის განცხადება, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები, დადგენილებები/ გადაწყვეტილებები, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაციები, ამონაწერები, დაარეგისტრიროს/ ექსპლოატაციაში მიიღოს შენობა - ნაგებობები, მოაწეროს ხელი, გადაიხადოს კანონით დადგენილი ბაჟები და მოსაკრებლები და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია **6 (ექვსი) თვის** ვადით.

წინამდებარე მინდობილობა ძალაში შედის მინდობილობის გამცემის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე, მე, ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მინდობილობის გამცემს, მინდობილობის გამცემმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის შედგენისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს დავითი გურგენიძეს

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქეთევან ოდილავაძესთან სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 90.00 ლარი, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის ?507-ე დადგენილების 32-ე, მუხლისა, აგრეთვე გადახდილია ელეტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის ?507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა .

„მინდობილობის გამცემი" ნდობით აღჭურვილი პირი

დავითი გურგენიძე ---დავითი გურგენიძე---

მოწმე

დავით ჩიტაძე ---დავით ჩიტაძე---

ნოტარიუსი ---

ქ. ოდილავაძე